ხელშეკრულება №N1/02

ქ. გორი 11 თებერვალი 2020 წელი

მხარეები:

ერთის მხრივ, სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, წარმოდგენილის - მისი სამხატვრო ხელმძღვანელის **დავით ჩხარტიშვილის** (შემდგომში - *თეატრი*) სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ თავისუფალი სივრცე (400234698), მისი თავმჯდომარის **მამუკა ტყემალაძის** სახით(შემდგომში - *შემსრულებელი*) თეატრი და შემსრულებელი ცალ-ცალკე მოხსენებულნი არიან, როგორც ,,მხარე" და ერთად როგორც ,,მხარეები".

მხარეები მოქმედებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის (მხარეთა შესყიდვაში მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს) და საქართველოს მთავრობის განკარგულება N99 2012 წლის 24 იანვარი, საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - *,,ხელშეკრულება"*) და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე *თეატრის* დავალებით და თეატრის ხარჯზე *შემსრულებელი* იღებს ვალდებულებას შეასრულოს შემდეგი სამუშაო - სპექტაკლის ლაშა იმედაშვილის მოთხრობის მიხედით „იესოს საქმე" (ფსიქოლოგიური დრამა ერთ მოქმედებად) რეჟისორის და მუსიკალური გამფორმებლის მომსახურებები (შემდგომში - *სამუშაო*)

CPV 92312000 - სახელოვნებო მომსახურებები;

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის თეატრი შემსრულებელს გადაუხდის შესაბამის თანხას (შემდგომში - *,,ხელშეკრულების ფასი")* ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით;

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის *თეატრი შემსრულებელს* გადაუხდის თანხას ***5625 (ხუთი ათას ექვსას ოცდახუთი)*** ლარის ოდენობით, საქართველოს შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით;

2.2.1. ხელშეკრულების ფასის გადახდა თეატრის მიერ იწარმოებს შესრულებული სამუშაოების მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში; ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების გზით.

2.2.2. ანგარიშწორება განხორციელდება საბიუჯეტო სახსრების სადადგმო ხარჯიდან.

მუხლი 3. მხარეთა უფლება - მოვალეობები

3.1. *თეატრის* უფლება - მოვალეობები

3.1.1 *თეატრი* ვალდებულია სამუშაოს შესრულების პერიოდში გამოუყოს *შემსრულებელს* ფართი თეატრის შენობაში და უზრუნველყოს შემსრულებელი ნორმალური სამუშაო პირობებით;

3.1.2 *თეატრი* უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს სამუშაოს მიმდინარეობა, საჭიროების შემთხვევაში დააზუსტოს და კორექტირება შეიტანოს მასში;

3.1.3 *თეატრი* სამუშაოს დასრულების შემდგომ მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე მიიღებს შესრულებელ სამუშაოს;

3.2 *შემსრულებლის* უფლება - მოვალეობები;

3.2.1 *შემსრულებელი* ვალდებულია შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

3.2.2 *შემსრულებელი* ვალდებულია თავად შეასრულოს სამუშაო და *თეატრთან* წერილობითი შეთანხმების გარეშე არ დაუშვას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება სხვა პირის (პირების) მიერ.

3.2.3 *შემსრულებელი* უფლებამოსილია მოითხოვოს სამუშაოს შესასრულებლად ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა თეატრის შენობაში.

3.2.4 *შემსრულებელი* სამუშაოს დასრულების შემდგომ მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს *თეატრს* შესრულებულ სამუშაოს.

მუხლი 4. განსაკუთრებული პირობები

4.1 *თეატრი* ვალდებულებას იღებს ნაწარმოების გამოყენებისას მიუთითოს ამ ნაწარმოების ავტორის - *შემსრულებლის* სახელი და გვარი.

4.2 მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ არეგულირებს *შემსრულებლის* პირად არაქონებრივ უფლებებს, აგრეთვე არ შეეხება ნაწარმოების გამოყენებას სხვა მიზნისათვის, გარდა

ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა.

4.3 ***შემსრულებელი*** ნებას რთავს ***თეატრს*** პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის საჯარო შესრულებაზე ტერიტორიის შეუზღუდავად, მსოფლიო ტერიტორიის მასშტაბით და უარს აცხადებს სპექტაკლის (დამდგმელი რეჟისორი; მუსიკალური გამფორმებლის) საჯარო შესრულების საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ განსაზღვრულ ტარიფზე/ ჰონორარზე.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ***2020 წლის 11 თებერვლიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით.***

5.2 ***შემსრულებელი*** ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება **2020 წლის 20 მარტამდე** - ქ.გორი, ჭავჭავაძის ქ.N24-ში.

მუხლი 6. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, თუ მათი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იქნა მათთვის დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების პირობებში, ასეთ გარემოებებად მიიჩნევა ომი, საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, დივერსია, ხანძარი, წყალდიდობა ან ნებისმიერი სხვა მსგავსი სახის ბუნებრივი მოვლენა ან ნებისმიერი ისეთი გარემოება, რაც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს;

6.2 დაუძლეველი ძალის მოქმედების დაწყების შემდეგ მხარე აგზავნის შესაბამის შეტყობინებას, სადაც მიუთითებს ასეთი გარემოებების წარმოშობისა და მოქმედების სხვა სავარაუდო ვადას.

მუხლი 7დავათა გადაწყვეტა

7.1. მხარეები მიმართვავენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;

7.2 საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, მათ შორის თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან ბათილობის საკითხი განიხილება და გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე მხარეთა უფლება - მოვალეობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2 ნებისმიერ ცვლილებას ან დამატებას ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ

8.3 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პუნქტის შეცვლა, უარყოფა გაუქმება ან შეწყვეტა გავლენას არ იქონიებს მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულებაზე;

8.4 წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

9. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსრულებელი“	„თეატრი”
ა(ა)იპ თავისუფალი სივრცე ს/კ 400234698 მის: ქ.თბილისი, ნაძალადევის რ. ერწოს ქ. კორპN13ბ, ბინა 11	ს.ს.ი.პ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. მის:გორი ჭავჭავაძის ქ №24
	ტელეფონი: 27-33-06
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ბანკი ქართუ“	
საბანკო კოდი: **CRTUGE22**	
ანგარიშის ნომერი: GE56CR0030009462283608	
ტელეფონი: 551 19 59 79	
	თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი
თავმჯდომარე მამუკა ტყემალაძე	დავით ჩხარტიშვილი
Mamuka Tkemaladze Подписано цифровой подписью: Mamuka Tkemaladze Дата: 2020.02.19 14:43:10 +04'00'	Davit Chkhartishvili Digitally signed by Davit Chkhartishvili Date: 2020.02.19 14:25:45 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ხელშეკრულება N1/02, 11 თებერვალი 2020 წ.

შემსყიდველი"

ს.ს.ი.პ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

“შემსრულებელი“

ა(ა)იპ თავისუფალი სივრცე (ს/კ 400234698)

Mamuka Tkemaladze Подписано цифровой подписью: Mamuka Tkemaladze
Дата: 2020.02.19 14:44:28 +04'00'

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ მე-8 მუხლის - "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები"-ს შესაბამისად, ს.ს.ი.პ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით ჩხარტიშვილი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში ზემოთ აღნიშნულ მიმწოდებელთან მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **დავით ჩხარტიშვილი**

Davit Chkhartishvili Digitally signed by Davit Chkhartishvili
Date: 2020.02.19 14:26:43 +04'00'